

ხელშეკრულება

ქ. თბილისი

-----, 2021 წელი

ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ, შ.პ.ს. „მედკაპიტალი“ (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „მედიველი“) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ზაზა ჯაფარიძის სახით და მეორეს მხრივ, ----- (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „გამედიველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ----- სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. მხარეთა ძირითადი შეთანხმების შესახებ (ხელშეკრულების საგანი)

- 1.1. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად, „გამედიველი“ ვალდებულია „მედიველს“ მიაწოდოს ხელშეკრულების დანართი №1-ით განსაზღვრული კონდიციონერ(ებ)ი (შემდგომში “საქონელი”), ხოლო „მედიველი“ ვალდებულია ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით და ვადებში მიიღოს საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება.
- 1.2. „გამედიველი“ ვალდებულია განახორციელოს საქონლის მიწოდება და მონტაჟი შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, გამრეკელის ქ.№19
- 1.3. საქონლის დასახელება, ფასი, რაოდენობა და მახასიათებლები მითითებულია დანართ №1-ში, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;

მუხლი 2. საქონლის შესაბამისობის შესახებ

- 2.1. „გამედიველი“-ს მიერ „მედიველისათვის“ გადასაცემი საქონლის ხარისხი, სტანდარტები, ძირითადი მახასიათებლები და სხვა პარამეტრები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ წესებს, საერთაშორისო სტანდარტებს, ნორმებსა და „გამედიველის“ მიერ შემოთავაზებულ პირობებს.

მუხლი 3. მხარეთა უფლებამოსილებებისა და მოვალეობების შესახებ

- 3.1. “გამედიველი” ვალდებულია მიაწოდოს “მედიველს” წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო, დანართი №1-ით განსაზღვრული საქონელი, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა სრული დაცვით;
- 3.2. „გამედიველი“ ვალდებულია მიაწოდოს საქართველოში არსებული მოთხოვნების შესაბამისად მარკირებული საქონელი.
- 3.3. „გამედიველი“ ვალდებულია უზრუნველყოს საქონლის მონტაჟი „მედიველის“ მიერ მითითებულ ადგილას, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ობიექტზე საქონლის მიწოდებიდან არაუმეტეს ---- კალენდარული დღის ვადაში.
- 3.4. „მედიველი“ ვალდებულია მიიღოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი, მიღების მომენტში შეამოწმოს საქონლის ხარისხი, შეფუთვა, შესაბამისობა შეთანხმებულ პირობებთან და გარეგანი იერსახე.
- 3.5. „მედიველი“ ვალდებულია „გამედიველს“ აუნაზღაუროს მიწოდებული საქონლის ღირებულება ამ ხელშეკრულების მე-7 მუხლის შესაბამისად.
- 3.6. მხარეები ვალდებულნი არიან ხელშეკრულების ურთიერთობიდან გამომდინარე უზრუნველყონ ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვა, რაც გულისხმობს მათთვის ვალდებულებათა შესრულების შედეგად ცნობილი ინფორმაციის (ტექნოლოგიური ხასიათის საკითხები, საქმიანობის დეტალები, და სხვა) გამჟღავნების დაუშვებლობას მესამე პირებისათვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

მუხლი 4. საქონლის მახასიათებლების შესახებ

- 4.1. „გამედიველი“ „მედიველისათვის“ საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რაოდენობით (დანართი №1);

- 4.2. „გამყიდველი“ ვალდებულია მიწოდების დოკუმენტებში (ზედნაღები) მიუთითოს მიწოდებული საქონლის დასახელება და ფასი.
- 4.3. მიწოდებული საქონლის მახასიათებელი და რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს იმ მონაცემებს, რომელიც ნაჩვენებია მიწოდების დოკუმენტებში.
- 4.4. საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს მწარმოებლის დეკლარირებულ სტანდარტებს, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს, საერთაშორისო სტანდარტებსა და „გამყიდველის“ მიერ შემოთავაზებულ პირობებს.
- 4.5. „გამყიდველი“ იძლევა გარანტიას, რომ საქონლის „ყიდველი“-სათვის გადაცემის მომენტში, თავად არის საქონლის კანონიერი მფლობელი და ასევე, რომ საქონელი არ არის დაგირავებული, დაფადალებული, მესამე პირებს არ შეიძლება წარმოეშვათ რაიმე სახის პრეტენზია წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №1-ით განსაზღვრულ საქონელთან მიმართებაში.
- 4.6. „გამყიდველი“ იძლევა გარანტიას, რომ საქონელი შეესაბამება უსაფრთხოების, შეფუთვის და მარკირების მოთხოვნებს, დადგენილს საქართველოს კანონმდებლობით;
- 4.7. „გამყიდველი“ აცხადებს, რომ საქონელი იქნება მიწოდებული სათანადო მდგომარეობაში, შეფუთვა არ იქნება დაზიანებული, ხოლო წარწერები საქონელზე და ეტიკეტებზე იქნება კითხვადი.

მუხლი 5. მიწოდებისა და დოკუმენტების შესახებ

- 5.1. საქონლის მიწოდება „გამყიდველის“ მიერ უნდა განხორციელდეს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს ----- კალენდარული დღის განმავლობაში;
- 5.2. საქონლის მიწოდებისას სასაქონლო ზედნაღები ან/და ანგარიშ-ფაქტურა უნდა გაფორმდეს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად;
- 5.3. იმ შემთხვევაში თუ, საქონლის მიღების შემდეგ აღმოჩნდება, რომ დოკუმენტები შეცდომით, ან არასათანადო ფორმითაა გაფორმებული, „ყიდველი“ ატყობინებს აღნიშნულის შესახებ „გამყიდველს“, რომელიც ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს მეორე დღისა მოახდინოს ახალი დოკუმენტების წარმოდგენა და ძველის გაუქმება/კორექტირება.
- 5.4. საქონლის ფაქტობრივი მიწოდება უნდა განხორციელდეს სასაქონლო ზედნაღების გაფორმების დღეს.
- 5.5. საქონლის ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილი სატრანსპორტო საშუალება უნდა იმყოფებოდეს ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში და იყოს ვარგისი განსაზღვრული კატეგორიის საქონლის ტრანსპორტირებისთვის.
- 5.6. „გამყიდველი“ ვალდებულია უზრუნველყოს საქონლის გადმოტვირთვა ამისათვის „ყიდველი“-ს მიერ სპეციალურად განსაზღვრულ ადგილას და დროს;

მუხლი 6. საქონლის მიღება-ჩაბარების შესახებ

- 6.1. „ყიდველი“-ს წარმომადგენელი „გამყიდველი“-ს წარმომადგენლის თანდასწრებით უზრუნველყოფს საქონლის დათვალიერებას მითითებულ/მიწოდების ადგილას.
- 6.2. საქონლის მიღებისას, „ყიდველი“ შეამოწმებს საქონლის რაოდენობის, ტექნიკურ მახასიათებლების და ხარისხის შესაბამისობას წარდგენილ დოკუმენტებთან მიმართებაში. მიწოდებული საქონლის ღირებულებისა და მიღების ფაქტი ფიქსირდება და დასტურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტებითა და „გამყიდველის“, ასევე „ყიდველი“-ს ხელმოწერით მიღება-ჩაბარების აქტზე. „ყიდველი“ უფლებამოსილია არ მიიღოს საქონელი და არ მოაწეროს ხელი შესაბამის დოკუმენტს (მიღება-ჩაბარების აქტი, სასაქონლო ზედნაღები), არ მოახდინოს ანგარიშსწორება თუკი საქონლის რაოდენობა, ტექნიკური მახასიათებლები არ შეესაბამება ტენდერში წარმოდგენილ პირობებს, მხარეთა შორის შეთანხმებულ პირობებს, შეფუთვა და ხარისხი არ შეესაბამება დადგენილ სტანდარტებსა და „გამყიდველის“ მიერ შემოთავაზებულ პირობებს.
- 6.3. „გამყიდველის“ უფლებამოსილებას საქონლის გადაცემასთან, შემოწმებასთან, ანგარიშსწორებასთან და მონაცემების შედარებასთან დაკავშირებით, ახორციელებს -----;

მუხლი 7. ხელშეკრულების საერთო ღირებულება და ანგარიშსწორების შესახებ

- 7.1. წინამდებარე ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს -----ლარს, რაც მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, მოსაკრებელს, ტრანსპორტირების ხარჯს, ადგილზე მონტაჟისა და სხვა ყველა ხარჯს, რაც აუცილებელია ხელშეკრულების პირობების შესასრულებლად.
- 7.2. ანგარიშსწორება განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №1-ით განსაზღვრული საქონლის მიწოდებიდან და მხარეთა შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტისა და სასაქონლო ზედნადების ხელმოწერიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში;
- 7.3. ანგარიშსწორება იწარმოებს უნაღლო ანგარიშსწორების წესით.

მუხლი 8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლის შესახებ

- 8.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს, კერძოდ, „გამყიდველის“ მიერ მიწოდებული საქონლის სახეობის, შეფუთვის, ხარისხის, მიწოდებული საქონლის რაოდენობის, მიწოდებული საქონლის ტექნიკური მახასიათებლების შეფასებას ტენდერში შემოთავაზებულ პირობებთან, არსებული დოკუმენტაციის საფუძველზე, განხორციელებს მყიდველის მიერ გამოყოფილი უფლებამოსილი პირები.
- 8.2. კონტროლი ხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე, საქონლის მიღებისას, აგრეთვე მიღების შემდეგ, მათ შორის, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების არსებობის პერიოდში.
- 8.3. კონტროლის განხორციელების ადგილია: საქონლის მიწოდების ადგილი;

მუხლი 9. მხარეთა პასუხისმგებლობის, პასუხისმგებლობის შესახებ (რეკლამაცია)

- 9.1. „გამყიდველი“ პასუხისმგებელია მის მიერ განხორციელებულ ყველა ქმედებაზე. „გამყიდველი“ ასევე პასუხისმგებელია წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №1-ით განსაზღვრული საქონლის მონტაჟისას შესაბამისი უსაფრთხოების წესების დაცვაზე. უსაფრთხოების წესების დარღვევის შემთხვევაში „მყიდველისათვის“ ან მესამე პირისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება „გამყიდველს“.
- 9.2. „მყიდველი“ არ არის პასუხისმგებელი იმ ვალდებულებებისათვის, რომელიც ხელშეკრულების პირობების შესრულების დროს „გამყიდველს“ წარმოეშობა მესამე პირების წინაშე.
- 9.3. თუ „მყიდველი“ საქონლის მიწოდებისა და/ან მონტაჟის პერიოდში აღმოაჩენს „გამყიდველის“ მხრიდან ტენდერის, ხელშეკრულებისა და მხარეთა შორის შეთანხმებული პირობების, არაჯეროვან ან უხარისხო შესრულებას (მათ შორის, საქონლის მიწოდების ადგილის, უხარისხო, ნაკლის მქონე საქონლის მიწოდება, საქონლის მონტაჟის უხარისხოდ განხორციელება და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების დარღვევა), „გამყიდველი“ ვალდებულია არაუმეტეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში გამოასწოროს აღმოჩენილი არაჯეროვანი ან უხარისხო შესრულება, ხოლო აღნიშნულის შეუსრულებლობის შემთხვევაში, „მყიდველი“ უფლებამოსილია არ გადაუხადოს „გამყიდველს“ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულება და/ან მოითხოვოს გადახდილი თანხის სრულად დაბრუნება, ასეთ შემთხვევაში „საქონელი“ უბრუნდება „გამყიდველს“;
- 9.4. იმ შემთხვევაში, თუ „გამყიდველი“ „მყიდველს“ არ მიაწოდებს საქონელს ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში (5.1. პუნქტი) ან არ მოახდენს დადგენილ ვადაში მონტაჟს (3.3. პუნქტი), „მყიდველი“ უფლებამოსილია წინასწარი შეტყობინების გარეშე „გამყიდველს“ დააკისროს პირგასამტეხლო წინამდებარე ხელშეკრულების საერთო ღირებულების (7.1. პუნქტი) 0,5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;
- 9.5. იმ შემთხვევაში, თუ „მყიდველი“ გამყიდველს არ გადაუხდის ხელშეკრულების საერთო ღირებულებას წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში (7.2. პუნქტი), გამყიდველი უფლებამოსილია წინასწარი შეტყობინების გარეშე „მყიდველს“ დააკისროს პირგასამტეხლო წინამდებარე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;
- 9.6. იმ შემთხვევაში, თუ „გამყიდველი“ „მყიდველის“ წერილობითი თანხმობის გარეშე რაიმე ფორმით შესთავაზებს „მყიდველის“ თანამშრომელს საჩუქარს/წახალისებას, რათა თანამშრომელმა მოახდინოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის სტიმულირება, წინწაწევა ან

ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შესყიდვა, „მყიდველი“ უფლებას იტოვებს მოითხოვოს და ამ შემთხვევაში „გამყიდველი“ ვალდებულია გადაიხადოს ჯარიმა ხელშეკრულების სრული ღირებულების 50%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 10 000 ლარი;

- 9.7. „გამყიდველის“ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 11.1. პუნქტით გათვალისწინებული საგარანტიო პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, „მყიდველი“ უფლებამოსილია მოითხოვოს, ხოლო ასეთ შემთხვევაში, „გამყიდველი“ ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო გამოვლენილი ნაკლოვანების და დეფექტის ღირებულების, ნაკლოვანების/დეფექტის გამოსწორებისათვის საჭირო ღირებულების ოდენობის შესაბამისად.
- 9.8. იმ შემთხვევაში თუ, „გამყიდველი“ განახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსაბამოდ, ან ხელშეკრულების ვადების დარღვევით, რისთვისაც „მყიდველს“ მიადგება რაიმე სახის ზიანი/ზარალი, „გამყიდველი“ ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს „მყიდველს“ ზემოაღნიშნული ზიანი/ზარალი, მოთხოვნიდან 1 (ერთი) კვირის ვადაში.
- 9.9. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულების შესრულების მოვალეობისგან.
- 9.10. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით გამყიდველი ადასტურებს, რომ ის არ წარმოადგენს საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში, ოფშორში რეგისტრირებულ პირს. საშემოსავლო გადასახადისაგან/მოგების გადასახადისაგან განთავისუფლებულ პირს (გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციისა), მიკრო ბიზნესის სტატუსის მატარებელ პირს, ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირს, თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში რეგისტრირებულ პირს ან/და სპეციალური სავაჭრო კომპანიის სტატუსის მქონე პირს. ამყიდველი ადასტურებს, რომ აღნიშნული ინფორმაცია უტყუარია. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მოქმედების ვადაში აღმოჩნდა, რომ გამყიდველი ზემოაღნიშნული რომელიმე სტატუსის მქონე პირია ან გახდება, რის გამოც მყიდველს მიადგება მატერიალური ზიანი/ზარალი (მათ შორის საგადასახადო ჯარიმის/სანქციის დაკისრება, გადახდილი თანხის ხარჯებიდან ამოღება და ა.შ.) გამყიდველი იღებს ვალდებულებას აანაზღაუროს აღნიშნული ზიანი/ზარალი სრული მოცულობით მყიდველის წერილობითი მოთხოვნიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში.

მუხლი 10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხების შესახებ

- 10.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებას, რომლის გამოც ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში, უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება ამ გარემოებებთან დაკავშირებით.
- 10.2. თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით. შეთანხმების შემთხვევაში გადავადებულ პერიოდზე მხარეს არ დაეკისრება პირგასამტეხლო.

მუხლი 11. გარანტია

- 11.1. „გამყიდველის“ მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით „მყიდველისათვის“ მიწოდებული საქონლის საგარანტიო ვადა შეადგენს საქონლის მონტაჟიდან და ექსპლუატაციაში გაშვებიდან ----- წელს. გარანტიის პერიოდის განმავლობაში საქონლის დაზიანების/ნაკლის/დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში „გამყიდველი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯით და საკუთარი ნაწილებით მოახდინოს საქონლის შეკეთება 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში ან იგივე მახასიათებლების მქონე ახალი საქონლით ჩანაცვლება 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში. საგარანტიო ვალდებულება არ ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ დაზიანება მოხდა არასწორი ექსპლუატაციის გამო, რომელიც დასტურდება შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნით;

- 11.2. წინამდებარე ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს საგარანტიო პერიოდში გამოვლენილი დაზიანების, ნაკლოვანების და დეფექტის აღმოფხვრის ხარჯებს.
- 11.3. წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №1-ით განსაზღვრული საქონლის მონტაჟის შემდგომ აღნიშნული საქონლის ექსპლუატაციაში გაშვებისას „გამყიდველს“ და „მყიდველს“ შორის დგება მიღება-ჩაბარების აქტი;

მუხლი 12. ფორს-მაჟორის შესახებ

- 12.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ნაწილობრივ ან სრულ შეუსრულებლობისათვის, თუ ეს გამოწვეულია დაუძლეველი ძალის გარემოებათა ზემოქმედების შედეგებით. ასეთი გარემოების დასტურს წარმოადგენს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტი.
- 12.2. მხარე, რომლისთვისაც წინამდებარე ხელშეკრულების შესრულება შეუძლებელი გახდა დაუძლეველი ძალის გარემოებათა წარმოქმნის შედეგად, ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს 3 (სამი) დღის განმავლობაში მათი წარმოქმნის დღიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარეს უფლება აქვს მიუთითოს ამგვარ გარემოებებზე, როგორც ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან განმათავისუფლებელ გარემოებაზე.
- 12.3. დაუძლეველი ძალის გარემოებათა დადგომისას მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიწვევა იმ დროით, რომლის განმავლობაშიც მოქმედებდა ეს გარემოებები.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადის შესახებ და ხელშეკრულების შეწყვეტა

- 13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან, რაც ფიქსირდება წინამდებარე ხელშეკრულების პირველ გვერდზე;
- 13.2. ხელშეკრულება მოქმედებს მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე;
- 13.3. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე „მყიდველის“ ინიციატივით, ცალმხრივად:
 - 13.3.1. თუ „გამყიდველი“ არ ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, რის თაობაზეც “გამყიდველს” დარღვევის გამოსასწორებლად მიეცა დამატებითი ვადა წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად. ამასთან, დამატებითი ვადა შეიძლება არ მიეცეს, თუ აშკარაა, რომ მას შედეგი არ ექნება, ან ვალდებულების არ ან არაჯეროვნად შესრულების გამო “მყიდველს” ხელშეკრულების საგნისადმი ინტერესი ეკარგება;
 - 13.3.2. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
- 13.4. წინამდებარე ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „გამყიდველს“ დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

მუხლი 14. დასკვნითი დებულებების შესახებ

- 14.1. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის წინამდებარე ხელშეკრულებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- 14.2. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე მხარეთა უფლებებთან და მოვალეობებთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობა.
- 14.3. „მხარეები“ ადასტურებენ, რომ ხელშეკრულების შინაარსი ზუსტად გამოხატავს „მხარეთა“ ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა “ხელშეკრულების” შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოდენ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან.
- 14.4. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 14.5. ყოველი მხარე წერილობით ატყობინებს მეორე მხარეს იმ გარემოებების შესახებ, რომელთაც შეუძლიათ იქონიონ გავლენა მხარის მიერ თავისი ვალდებულებების შესრულებაზე: რეორგანიზაცია, რეკვიზიტების შეცვლა, გადახდისუუნარობა ან გადახდისუუნარობის ალბათობა, ლიცენზიის მოქმედების ვადის ამოწურვა და სხვა. მხარე, რომელიც არ ატყობინებს ან არადროულად ატყობინებს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დამატებითი გარემოებების შესახებ, ვალდებულია მეორე მხარეს აუნაზღაუროს ამასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ზარალი.

- 14.6 „ხელშეკრულების“ რომელიმე მუხლის, პუნქტის ან/და ქვეპუნქტის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად „ხელშეკრულების“ ან/და მისი სხვა ცალკეული მუხლის, პუნქტის ან/და ქვეპუნქტის ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად, გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა „ხელშეკრულებით“ (მათ შორის ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი.
- 14.7 მხარეებს შეუძლიათ ხელშეკრულებაში შეიტანონ ცვლილებები და დამატებები, რომლებიც უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერის შემდეგ ხდება წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი და მოქმედებს მასთან ერთად.
- 14.8 იმ შემთხვევებში, როდესაც ეს ხელშეკრულება ავალდებულებს მხარეებს დაიცვან წერილობითი ფორმა, ეს ნიშნავს, რომ დოკუმენტები უნდა იყოს შედგენილი ქაღალდზე და ხელმოწერილი ამისათვის უფლებამოსილი პირების მიერ.
- 14.9 „გამყიდველი“ ადასტურებს, რომ მას ჩაბარდა ხელშეკრულება მისი დანართით.
- 14.10 „გამყიდველი“ აცხადებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი მონაცემები, მათ შორის მისი რეკვიზიტები, სწორია.
- 14.11 მხარეები შეეცდებიან ყველა წარმოშობილი დავა და უთანხმოება გადაწყვიტონ ურთიერთმოლაპარაკების გზით. იმ შემთხვევაში, თუ დავა არ გადაწყდება მისი წარმოშობიდან 30 დღის განმავლობაში, მხარეები იტოვებენ უფლებას თავიანთი ინტერესების დასაცავად მიმართონ სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 14.12 მხარეები თანხმდებიან, რომ მყიდველს უფლება აქვს პირველი ინსტანციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, გამყიდველის მიერ მისი გასაჩივრების მიუხედავად, დაუყოვნებლივ მიაქციოს აღსასრულებლად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის მე-1¹ პუნქტის შესაბამისად.
- 14.13 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად, თითო ეგზემპლარი ყოველი მხარისათვის. ორივე ეგზემპლარი იდენტურია და გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა.

15. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

მყიდველი

შ.პ.ს. „მედკაპიტალი“

საიდენტიფიკაციო კოდი: 205218030
 იურ. მისამართი: ქ. თბილისი, გლდანის რ-ნი, ი.
 ვეკუას ქ.№18

გენერალური დირექტორი:

-----/ზ. ჯაფარიძე/

გამყიდველი

საიდენტიფიკაციო კოდი:
 მისამართი:
 ბანკის დასახელება:
 ბანკის კოდი:
 ანგარიშის ნომერი:
 საკონტაქტო ტელეფონი:

დირექტორი:

-----/-. -----/